აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 3

14/07/2025 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 70-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 16 დეკემბრის №17 დადგენილების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 4 ივლისის №35-რს დადგენილების საფუძველზე, **ვადგენ:**

1. ცნობილ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, პოლიტიკური გაერთიანების **„გახარია საქართველოსთვის“** პარტიული სიით არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის, **გოჩა გუგუნავას** (პ.გ. „გახარია საქართველოსთვის“ პარტიულ სიაში №1) ადგილმონაცვლედ, ამავე პოლიტიკური გაერთიანების პარტიული სიით წარდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი **არჩილ სამნიძე** (პ.გ. „გახარია საქართველოსთვის“ პარტიულ სიაში №4).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე